



საქართველო მიიღება:

ქრონოსი

თბილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-
შვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ტელეფონის სახლში
თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღრისი: ВЪ Тифлисе. ВЪ
контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება
სხვა და სხვა ენაზე. შპსი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-
ბრძის ასობით გაზეთის სტრუქტურაზე 8 კაპ.

საკონსტიტუციო და სალიტერატურო გაზეთი.

საქართველო

ნახევარი წლის „დროების“ გამოცემაზე

შეიძლება თბილისში, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში.

ხელის მოწვევას ეგზავნება „დროების“ № 25 ამ წლის 1 იანვარიდან მომავალი წლის
იანვრამდე.

შპსი გაზეთით — — — — — 4 მან.
— გაუგზავნელად — — — — — 3 —

შინაარსი:

თბილისი 18 იანვარი. — რუსეთის ამბები. —
შინაგანი ცნობა. — პურის მალაზიები შორაპ-
ნის მახარაში. — პოლიტიკა: შრანცია. — ისპანია. —
რუსეთი. — ტელეგრაფები. — თბილისიდან
ქუთაისამდე. — ქალაქის შესახებ ამბები. — საბიბლიო-
თეკა ნაწილი. — შედეგები.

თბილისი იანვარის 18

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მკითხველები მი-
ქცევდნენ ყურადღებას უ. თარხან-მოურაიის,
ჩვენი მოგზავნილებისა და წერილის, სტატიის: „სა-
ქართველო ჩვენი თვის ურთიერთის შემწე-
ობა, თუ არა?“ თემის, გაზეთში ადგილის სი-
ცოცხლის გამო, ჩვენ იძულებული ვიყავით ნა-
წევრ-წაწევრად გვებეჭდა შემოხსენებული
სტატია და ამიტომ, შეიძლება, ზოგს მკითხ-

ფელეტონი.

თბილისში გასაჩივრება.

ზაფხული და ჩვენი ბაღები. ფელეტონის
უქონლობა ქართულ ჟურნალებში. მკითხვე-
სიტყვა ჟურნალებზე. პოლიტიკული მუშაობები.
უ. ქართველი და ტალანტი. მთაწმინდა
და ფიქრი იმაზე. ჩვენი ადვოკატები. ძაცის
მკვლელობის ჩამოხრება.

დადგა ზაფხული და მოიტანა თან ჩვენ-
ბური თბილისის აუტანელი ცოთი და საში-
ნელი მტერი. ძალაქში არა თუ ეს დრო, ზა-
ფხულის დაწყებაც კი ასეთია, აი სოფელში
სულ სხვაა: მტათ სასამართლო და ადამიანის
გულის დამამშვიდებელი, ნაღლის გამქარე-
ვლი. მინდორი, ტყე, წყალი, მთელი ბუ-
ჩება შრომაშია და მოძრაობაში, ღვივის
და ხარობს, დამდგრის და დაჟინდება. დიდი
ხანია დავით ბურაშიშვილმა ზაფხულს შესახებ
ქება თვის „ძაცა მწყემსი“:

ზამთარს წახდნა აწ კირანხული:
ზურმუხტის ტახტზე დაჯდა ზაფხული.
შემოკრბნენ ყოველნი
მუნ სულნი ცხოველნი
და მოულოცეს.
*
ამბობს ტორუა, ვალოზს ბუღბუღი,
ტბილათ მოსძახის ოფოფს გუგუღი;
შაში ამბობს ზილსა,
მსმენი იკრთობს ძილსა,
ღვინაჲს ქედანი... და სხვა...

მაგრამ დიდი ხანია მინდორმა მწყანე ფერი
იღვეც იცვალა ოქროს ფერზედა და ქალაქის

ველს ვერ დაუტევა იმან ისეთი შთაბეჭდი-
ლება, როგორც შეიძლება დაეტოვებინა
ერთად რომ წაეკითხა, მაგრამ, დარწმუნებუ-
ლი ვართ, რომ ამრიგათა დაბეჭდილი, ზედ-
იმოქმედება ის ბევრზე. — მხლა, როცა სტატია
დაბოლავდა, ხელახლად ერთად რომ წაიკით-
ხოს ის „დროების“ მკითხველმა და ჩაფიქრ-
დეს იმ ჩვენი მფურნეობისათვის სასარგებლო
აზრებზე, რომლებიც იქ არიან გამოთქმულნი,
უეჭველია, დიდს სარგებლობას მოუტანს ეს.
უ. თარხან-მოურაიის სტატია შეეხება იმისთა-
ნა საგნებს, რომლებზედაც კარგათ უნდა ჩა-
ფიქრდეს, ჩვენი აზრით, ყოველი კეთილგო-
ნიერი და თავის თავის სიკეთის მოსურნე ქა-
რთველი.

მართლაც, განა არა ღირს ჩაფიქრება იმის-
თანა ფაქტებზე, როგორც ის მაგალითად, რომ
უმეტესს ნაწილს ჩვენ მებატონებს (ნამეტურ

არე მარეში ქერი და პურიც მოსჭრეს. — ტოთი
კი ძალიან გეწუხებს, არ იცი, რა ქნა: შინა
ხარ, სული გიგუბდება; გამოდინარ გარეთ, ოფ-
ლათ იწურები. შეტარე ბუშა ხალხია ამ გან-
ცხრობაში, როდესაც დილით საღამომდე მუ-
შაობაშია გაბმული. წარმოიდგინეთ რა სინარ-
ნარეშია ხაზაში, მფურნე, მკვდელი და სხ-
ვანი. მაგრამ ამ დღეებში ცოტაოდნე წვიმამა
და ქარიანობამ პატარა შეება მოგვცა. ხალ-
ხი, რასაკვირველია, უფრო კეთილშობილის
სისხლისა, ქალაქიდან გარეთ იწევს; ზოგი
თბილ-წყლებზე მიდის; პეტეგორსკს, ბორ-
ჯომს, აბასთუმანს, ზოგი სოფლად გადის. რა-
საკვირველია ქოჯარი, თბილისის საელო ად-
გილი, ხომ უეჭველათ აივსება. სხვანი კი ესე-
იგი, ვინც სამსახურშია, და კერძო საქმეშია
დღე და ღამ: ხელოვნები, ვაჭრები, მუშა კა-
ცი და ბოლოს მწერლობის მოსამსახურენი
რჩებიან ამ თბილისის ჯურღმულსა შინა. მკ-
თი საზოგადო სულის მოსაბრუნებელი გერ-
ჩება — გავისიეროთ საღამ-საღამობით ბულ-
ვარზედა, ყაბახის ბაღში ან მტკვარში ვიბანა-
ოთ პირდაპირ გაშლილ ჰაერში, რადგანაც
მტკვარზე ცივ აბანობას აღარა მართავენ.

სახალხო ბაღები სწორეთ გითხრათ, მეტი
ულანობის ღონეა. მართალია გატყებნილი
კვლები და ხეივნები, სისუფთავე და სიფაქი-
ზე სამაგალითოა, მაგრამ არა ვაგს ჩვენ ორ-
თაქლის ბაღებსა! აბა რა შეედრება იმ პო-
ეტეკურს არეულ-დარეულობას, უსწორ მას-
წარობას, ვაზის თალარს, მალალ კაკლის წენ-
გოთი დატვირთულ ხის საამურ სუნსა, თვა-
ლის შემაქცევარ და პირში წყლის მომგვრელ
სხვა და სხვა ხილებს, და ბოლოს ყურის გა-
მღვიძებელ ჩარხის ხრიალ-ქრიალსა, წყლის

თბილისის გუბერნიაში), დაგირავებული აქეთ
თავიანი მამულები? ბანა არ უნდა ჩაფიქრ-
დეთ ჩვენ უხვირო და უანგარიშო ცხო-
ვრებაზე? ბანა არ უნდა მიეპყროთ ყურად-
ღება იმ საშუალებებს, რომლებითაც სარგე-
ბლობენ თავის მატერიალური ცხოვრების
გაუმჯობესებისათვის სხვა განათლებული ერე-
ბი და რომლებზედაც საუბრობს უ. თარხან-
მოურაი? — მე გგონია რომ — კი. — მე გგონია,
ეს იმისთანა ფაქტებია, რომ ჩვენგან მათი
დიდხანს უყურადღებოდ დაგდება შესაძლებე-
ლი არ არის. — ასოციაცია, ანუ შეერთებუ-
ლი ღონის სმარება ეკონომიური მდგომარე-
ობის გაუმჯობესებისათვის, ისეთი სახსარია,
რომელმაც ყოველგან, სადაც კი არ შემოი-
ღეს ის — ეაქრობაში, თუ ოჯახობაში, მოი-
ტანა კეთილი ნამყოფი და ურიცხვი სარგე-
ბლობა. რამდენი მეოჯახების ასოციაცია
მერობაში, რამდენი ხელოვნებისა, რამდენი
ვაჭრებისა?! რუსეთშიაც არის ეხლა (ტფერის
გუბერნიაში) რამდენიმე მეყველეების ასოცი-
აცია; ამ ასოციაციის მდგომარეობას ჩვენი
მკითხველები შეიტყობდნენ წინანდელი „დრო-
ების“ № 25-დან. — რატომ გამრავლდა განათ-
ლებულ ქვეყნებში ამ ცოტა ხანში ასე საოც-
რად ასოციაციები? ამიტომ რომ იქ იგრძნეს —
რა სარგებლობა მოაქვს იმას, მიხედნე, რომ
გაცალკევებული კაცის შრომა ბევრს ვერა-
ფერსა იქს და შეერთებულს შრომას კი ბევ-
რი რამე შეუძლია ცხოვრების გაუმჯობესო-
ბისათვის იმისთანა, რომელსაც გაცალკევებუ-

ხუჩხუჩა! აი პოეტეკური და მართლა დამამ-
შვიდებელი ღონე შრომით აღშფოთებულის
და მოწყვეტილის ადამიანისა. ახლა სიმღერა,
ახლა დღეუკი, დირა, ციციცი თუთა, ბალი..
აბა როგორ შეედრება ამას შემოხსენებული
ბაღები თავის თანასწორეთ გადამორვილის ხე-
ებით და დანაყილი აგურით გატყებნილი, და-
გვილი ხეივნებით. მართი ხალიჩა რა გინდო-
დეთ, ერთი მუთაქა, იქ ვერ იშოვით, რომ
ორიოდე წამი წამოწვეთ ან მუხლი მოიკე-
ცოთ. რათ გავიწყდებათ, რომ ჩვენ გვიყვარს
იალაღათ გაშლილბრტვა, მუხლის მოკეცა, თო-
რემ რა არის სულ ფეხებ ჩამოკიდებული სკა-
მზე სხლობა სეროუკში და ხობაში გამოწვე-
პილი. ბაღში გვინდა ხტობა, ცეკვაობა, სიმ-
ღერა, მახარობა.

მაგრამ ესეც უნდა ესთქვათ, რომ არა ყო-
ველნი მიისწრაფენ ბაღებში. აი მაგალითად
დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მწერლები
ძალიან იშვიათათ დაიარებიან; მაგრამ ეს კი
ცუდია, რომ თუ თითონ არ უყვართ ღრო-
ბის გატარება, თავისი მკითხველები მაინც სუ-
ავიწყდებათ. როგორც ეხერხებათ იმისთანა
ღროს გასატარებელი რამ მაინც უშოვნონ
მკითხველებსა. რალა შორს წაივდეთ: მწერლე-
ბის ბურთი და მოედანი მწერლობა; დალო-
ცივლებმა ფელეტონები დაგვიწერონ. ხომ
მოგვხსენებათ ზაფხულობით ადამიანს რო-
გორღაც ტინი უთხელდება, მიიმე რამ ვე-
ლარ წაუკითხავს. აი ამ ზაფხულისთვის კარ-
გი იქნებოდა ოხუჯობა, სიცილი, მსუბუქი
ლაპარაკი.
ჩვენდა სამწუხაროთ ფელეტონისტები არა
გვყავს, ჩვენ, რომელთაც გვიყვარს ოხუჯობა,
ხუმრობა, სიცილი, სხარტი სიტყვა კალამბუ-

ლიკაციები თავის დღეში ვერ შეიძლებენ. —
ამისთანა აზრები არა ერთხელ გამოთქმუ-
ლა „დროებაში“ და შემდგომშიც გვექნება
ამაზე ყურადღება მიქცეული, ამიტომ რომ
ეხლანდელი ცუდი ეკონომიური მდგომარეო-
ბიდან გამოსვლისათვის, ჩვენი აზრით, ჩვენ
მართა შეერთებული შრომა და ძმური ერ-
თობა გვიწყვილის. —

რუსეთის ამბები.

დიდი მთავარი მემკვიდრეს მეუღლე 26 მა-
ისის მორჩა მშვიდობით და ეყოლა ვაჟი, რო-
მელსაც დაათქვეს სახელად ალექსანდრე. ხელ-
მწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატ-
რიცამ ინებეს მოსკოვიდან წაბანება 12 მა-
ისისა სოფელს ილინსკოეში.

ზაფხუთი „ნიკოლაევის მოამბე“ ამბობს, რომ
ჩვენი ჰაერი თან და თან ხდება. შემოხსენ-
ებული გაზეთი აბრალებს ამას ტყვეების აჭ-
რას. მსვე გაზეთი იწერება, რომ გავიგონეთ-
ვითომ აქ სდგებოდა ისეთი საზოგადოება, რო-
მლის წევრები ვალდებული არიან თავის ხე-
ლით დარგონ უსათუოთ ყოველ წელიწადს
რამდენიმე ხე. — ამ ნაირად დარგულ ტყეში
უნდა გააკეთონ სამაგალითო ბაღი. —

„პეტერბურლის შწყებაში“ სწერენ: ჩვენ
გავიგონეთ, რომ წასრულს კვირაში მინისტ-
რების პომიტეტში ვარდაწყვიტეს მარშავის

რი, მანვილობა და ყოველ გვარი ფრანკუ-
შული ლაპარაკის კილო. ჩვენ მწერლობას,
როგორც ჩვენს ქალაქის სახალხო ბაღებს,
დიდმარხვის ფერი ადევს. არა ჩანს ჩვენ მა-
ქრის დუღილის მსგავსი დუღილი ჩვენს მწერ-
ლობაში; არ არის მაქრის მუშნი ჩვენს სიტ-
ყვაში, მაქრის სიტყვა, ჩვენის ლიტერატურის
დაობებულს, დახვსებულ ტკბილობაში. —
ფელეტონი სწორეთ მართლია მწერლობისა.
მს მართლი ჩვენ არა გვაქვს. მაშასადამე უმა-
რილო მწერლობა ყოფილა. — რა უნდა იყოს
მიზეზი? იქნება ის იყოს, რომ მთელი ჩვენი
ლიტერატურა არის ფელეტონური და მსუ-
ბუქი? მე შენ არ გეტყვი, ჩემო მკითხველო,
მე რას ვფიქრობ; ხოლო შენთვის საცოდნე-
ლათ კი ვიტყვი შექსაირის ჰამლეტთან: „მაო
ბორაკიო! ცაში და ქვეყანაში ბევრი საიდუ-
მლო რამ არის, რომ ჩვენ ბრძნებს სიზმრა-
თაც არ სიზმრებიათ.“

აი, დასამტკიცებლათ ავიღოთ ჩვენა ჟურ-
ნალები: ახალი „მნათობი“ და ძველი „სისკა-
რი“. სად არის აქ გამაცოცხლებელი სიტყვა.
ჰო ამ ჟურნალებსაც შეეხებთ. ამ თვის 8-ს
გამოვიდა „მნათობის“ მეორე წიგნი (ესე იგი
აპრილის ნომერი). ძაი სქელი წიგნია და კაი
ენითაც არის დაწერილი ყველა სტატიები
მხლაც არ მოეწონებათ ქართულ წიგნების
მკითხველებსა და ჩვენ საყვარელ „სისკარსა“;
ენახოთ „სისკარი“ გულწრფელათ აღიარებს
„მნათობის“ ენის უკეთესობას თავისაზე, თუ
იმანდაც დაიწყებს ისე გაკილვასა, როგორც
შარშან ხელის მოწერის დროს წლის უკანა-
სკენელ და პირველ ნომერებში დაუწყო გაკილ-
ვა „დროებას“ და რომელზედაც დღეის აქა-

შაღალესი შკოლის უნივერსიტეტად გარდაკეთება.—

ჩვენ მკითხველებს თუ ახსოვთ „დროებაში“ იყო რამდენიმე სიტყვა სკოლაზე პოლიტიკონზე, რომელსაც უნახესო, როგორც მაშინ იწერებოდნენ გაზეთებში, ურიცხვი ოქრო და ვერცხლი და რომელზედაც ეჭვობდნენ პოლიტიკონების მომხრეობას. მხლა სწერენ, რომ პოლიტიკონს, ტამბოვის პალატის გარდაწყვეტილებით, ჩამოართვესა ღირსება და გამოგზავნეს ჩვენსკენ საცხოვრებლად—

რუსეთში მდინის უხვდში ერთმა გლეხის დედა-კაცმა პროსკოვია მიხაილოვისამ შობა ამ წლის 4 მარტს ერთად ოთხი ბავშვი: სამი ვაჟი და ერთი ქალი; გაზეთებში სწერენ, რომ ვერცხელი ისინი ცოცხალნი არიან.—

შინაგანი ცნობები.

ამ ორიოდ დღეში შევიტყუეთ, რომ წასრულს კვირას ძალიან დაუსეტყვავს ძახეთის მამულეები და დიდძალი ზარალი მიუტია ვენახებისთვის. დაწვრილებითი ამბავი არ ვიცით, რა ადგილი უფრო დაუზიანებია და რა ზომისაა ზარალი.

შორაპნის შაჰდის საზოგადო კურის მაღაზიანი.

ჩვენს გაზეთში მკითხველი ხშირად წაიკითხავდა ხოლმე, რომ შეერთებული შორაპნა და ბევრი კაცების ერთად საქმის დაჭრა ძალიან სასარგებლოა კაცის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. თუ კაცმა თავის ცხოვრება გაუმჯობესება, თუ იმას არ აკლია ის, რაც ყველაზე უფრო საჭიროა იმის სხეულისათვის, მაგალითად პური, ღვინო, საცმელი, სახურავი, კარგი სადგამი და სხვა, მაშინ, დარწმუნებული იყავით, რომ ის დაიწყებს ზრუნვას სულსათვისაც, ესე იგი, მაშინ შეუძლია იმას იფიქროს წიგნის სწავლაზე და თავის ქუთის განათლებას. ცარიელი კუჭის პატრონს

მომდე „დროება“ პასუხს არ აკადრებს. ვერ ჩვენ ლიტერატურაში მყუდროება და მშვიდობა; კრიტიკა არ გამართულა და ენახოთ მნათობსა, სისკარს და დროებას შუა გაიმართება რამ ბაასი თუ არა? ძალიან ცუდი არ იქნებოდა და ჩვენ მკითხველთა არ უნდა შეუძრწუნდეთ გული, თუ ბაასი გაიმართა. ზოგს ეფიქრება, რომ ვაი თუ ერთმანეთთან ბაასისა და ომიანობისაგან ყველანი დაეცნენ ბრძოლის ველზედ. ეს ცრუ შიშია. ისეთი ომიანობა და ბრძოლა არსად არ მამხდარა. რომ ცოცხალი არაინ გადარჩენილიყოს. შურნალისტიკაში შიში რას ჰქვია? ხომ მოგვსენებთ: „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრევილობა.“ მნახოთ როგორ წავა ჩვენი ჟურნალების საქმე. წლივან დღეს „სისკარს“, როგორც გამოცხადებულია სიაში მარტის ნომერში, ხელის მომწერი ჰყავს რიცხვით 55. მნათობსა ჰყავს იმის სისა მებრ 81 ხელის მომწერი, მაშასადამე სისკარზე მეტი. მნახოთ ვინ დაიწყობს ბაასობის ასარგვზე პირველად გამოსვლას, მეტისა თუ მცირე ხელის მომწერის პატრონი? მე რომ მკითხოთ ესლავე სჯობს დაწყობა, თორემ წლის უკანასკნელ თვეებში თუ დაიწყო, სეირის მაყურებელი ხალხი იტყვის ჭეშმარიტებისათვის კი არა ბრძიანო, ხელის მომწერის მოპოებისთვისა, ესე იგი როგორც ცისკარმა (რომელმაც ხელის მოწერის დროს პირველად დაიწყო ლაპარაკი და პასუხი არ მიიღო) სიტყვა უსინდისო „დროებაზედ“, რომ „გაზეთის და ჟურნალის გამოცემაში და ვაჭრის შორის მაგდენი განსხვავება არა არის რა... მართაც ატყუებს მსყიდველსა და მეორე.“ (სისკარის იანერის ნომერი 1869 წ. ამ ქვეშაირი სი-

რა ეწინებოდა, შენი ქირიმე? მაძღვე ვერ და მერე მიეცი წიგნი ხელში; შიშველს რა ეწინებოდა? ვერ ჩააცვი, შემოსე და მერე დაწველე. ასეა ღირსი კაცის საქმე; ის პირველად იმას სცდილობს, რომ მშვიდი არ დარჩეს, ის მთელი წელიწადი შრომობს იმისთვის, რომ წლის სამყოფი ნაშუაგარი მოიყვანოს და იმით დაარჩინოს თავის თავი და თავის ცოლ-შვილიც. ამიტომაც ღირსი ხალხში ძვირად ითვლება განათლებული და ქუთ-გახსნილი კაცი.—

ისტორია გვეუბნება ჩვენ, რომ ყოველი ხალხი ასე ყოფილა: ვერ თავის ყოფა-ცხოვრება გაუმჯობესებია, ცოტა სიმდიდრე შეუძენია და მერე მოუკიდია წიგნისათვისაც. ხელი და დაუწყია ზრუნვა თავის ქუთის გახსნისათვის.

რასაკვირველია, ჩვენ იმდროს კი არ უნდა უცდიდეთ, როცა გავმდიდრდებით, როცა ოქროები დაგვიწყებენ ჩხრილს ვიგეში. ეს შორს იქნება... შოველი კეთილი და სასარგებლო საქმისათვის კაცმა ცოტა უნდა მოითმინოს, ცოტა უნდა გაიჭირვოს, თუ უიმისობა არ შეიძლება: მაუღის ჩოხის, ან აბრეშუმის ახალუხის მაგიერად რომ უბრალო შალის ჩოხა და უბრალო ჩითის ახალუხი ჩაიცვათ— არაფერი არ იქნება; მაგრამ ჩვენი შვილი რომ უსწავლელი დაგვდოთ შინ-ისკი ბევრს შეადგენს.— ისიც უნდა გვეკონდეს სახეში, რომ ყოველი სწავლა, რასაკვირველია, სარგებლობას მოუტანს თვით ცხდერებაში კაცს, რადგანაც სწავლული უფრო მალე და უკეთესად მოძებნის ცხოვრების ღონისძიებას და საშუალებას. მართი სიტყვით ეს ორი საქმე—სწავლა და შეძლება ერთი მეორეზე დამოკიდებული: თუ კაცი განათლებულია ის უკეთესად მოიპოვებს ცხოვრების საშუალებას და თუ კაცი შეძლებულია, რასაკვირველია, იმას ადვილად შეუძლია განათლდეს და შეიღებოსაც მისცეს ჯეროვანი განათლება; ფულსაც ყველაფერი შეუძლია.

ამიტომაც უნდა ვიყენებ ჩვენ მადლიერი იმ პირებისა, რომლებიც სცდილობენ ხალხის გამდიდრებას და მისი ცხოვრების გაუმჯობესებას.

ტყუა! სწორეთ ასე იფიქრებენ ჩვენი მკითხველები, თუ ჩვენმა ჟურნალებმა და გაზეთებმა წლის ბოლო თვეებს უკადეს. აბა ერთი დაჰკარით ტაში და დაიწყეთ:

ჰა ბიჭობა დატრიალია, ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა ჰა.

ხომ იცით მუშტი კრივი გვიყვარს. ბარემ ორიოდ სიტყვათა ვაქეთ „სისკარზე. მაგრამ კრიტიკული რამ კი არ გვეგონათ, რომ კრიტიკას უწერდნენ სისკარსა. მე სწორეთ მოგახსენო კრიტიკოსი არ ვახლავარ და არც ამისი ნიჭი მაქვს. სწორეთ მოგახსენოთ ხუთი ექვსი წელიწადი ცისკარის კითხვას თავი დავანებ, ამ დღეებში მომავლდა მოდი ერთი გადახედვად მეთქი და... რა ვიხილე! ამ ხუთი ექვსის წლის წინათ ორას საშასი კაცი კითხულობდა და თურმე იმათაც ჩემსავით თავი არ დაუნებებიათ?! ეს პირველი, მეორე კიდევ ისა, რომ ვიხილე ახალი სტატიები (მოგზაურობა მესხეთში) დიდის ტაღანტით დაწერილი ჩვენის ივან ივანის ძეგისგან. მოგზაურობა ძალიან აფხიზლებს კაცსა. მრავალნი მწერალნი და პოეტნი ჰპოებდნენ მოგზაურობაში მრავალს წყაროსა მთხვევლობისასა და ზეგარდამოშთაგანებისასა (Вдохновение); მაგალითად ბაირონი, ეს დიდებული პოეტი ანგლისა სულ მოგზაურობდა და მრავალი რამ აწარმოვა მშვენიერი. ჩვენი ძველი პოეტი ივ. ძეგისგან—ბევრთა დაძველებულ პოეტთა მიანდათ, მაგრამ მოგზაურობამ მისცა ტაღანტი, რომლითაც აწარმოვა „მოგზაურობა“. დიდის სიამოვნებით წავეითებ მით უმეტესად, რომ ბოლოს „სისკარიცა“ რწმუნდება, რომ ეხლანდელი სწავლა და განათ-

ჩვენ შევიტყუეთ, რომ შორაპნის მარაში (ზემო-მეცეთში) გახსნილია რამდენიმე საზოგადო პურის მაღაზიები; ეს ძალიან შესანიშნავ საქმეთ მიგაჩნია ჩვენ; ამიტომაც ვთხოვეთ შორაპნის მარაში მომრიგებელ მოშუამდგომელს (მიროგოი პოსტდენიკს) უპალოანს—შეგატყობინოს რამე ამ საქმეზე; ის იყო იმოდენათ კეთილი, რომ დაწერილებით გავცნობა ამ საზოგადო პურის მაღაზიების მდგომარეობა, რისთვისაც ჩვენ ძალიან ვმადლობთ, მე ამოვწერ რამდენიმე სიტყვას უ. პალოანის წიგნიდან:

„მე არ მგონია, თუ ასე კარგათ წავიდოდა ჩვენში საზოგადო პურის მაღაზიების საქმე. მღებკაცები ხელაშვერით ილოცებიან ამ საზოგადო კეთილის საქმის დაწყებისათვის.—მხლა არის დაწყებული იმისთანა საზოგადო მაღაზიები ვიოქვალის, დარკვეთის, ვედარგინის, სკინდორის და ძორბოული სოფლის საზოგადოებში. ამათის მიხედვით დანაშთენი ჩემი განყოფილების სოფლის საზოგადოებებიც მსურველნი არიან დაწესონ თავიანთისაც წელს შემოდგომაზე ამისთანა მაღაზიები.“

„მაღაზია შედგა მით, რომ თეთრთაგანმა გლეხმა შეძლებისა მებრ შეიტანა პური, ანუ სიმინდი—არა ნაკლები ნახევარის და არა ნახევარი ორი კოდისა (ჩვენი კოდი ორს რუსულ ფუტს აიწონის).—ამ ნაირი წესით უნდა ზიდონ ნამუშევარი მაღაზიაში ორის წლის განმავლობაში და მერე თვით მაღაზია იწარმოებს. მაღაზიიდან ეძლევათ პური და სიმინდი იმ გლეხებს, რომელნიც საჭიროებენ და რომელთაც, როცა შეძლება ექნებათ, უნდა დაუბრუნონ სესხი მაღაზიას; წელიწადში ასე ექვსი სარგებელი დადებული, ესე იგი, ასი კოდი მაგალითად თუ ვინმე ისესხა—ას ექვსი კოდი უნდა შეიტანოს მაღაზიაში.“

„თუ მაღაზიაში ნამუშევარი დარჩა, საზოგადოებას შეუძლია გაყიდოს ის და აღებული ფული მოიხმაროს რომელიმე საზოგადო, სასარგებლო საქმისთვის.“

„იმედო მაქვს, რომ ეს საქმე დიდს სარგებლობას მოუტანს ხალხს; რამდენიმე წლის შემდეგ, თუ რამე დამარკოლებელი მიზეზი არ იქნა, რომელიც მე არა მგონია, გლეხი კაცი კიდევ უფრო იგზობოს ამ საქმის სარგებლობას, მით რომ ეს მისცემს იმას საშუალებას გაუმჯობესოს მისი ყოფა-ცხოვრება და იჯახობა.“

ღმერთმა ქნას, რომ ეს საქმე კარგად წავ-

ლება და ეხლანდელი დრო ძველს დროსა სჯობია, ძველ მამა-პაპურ დროსა. აქამდინ ჩვენი ახალი თაობა რომ ეხლანდელ დროს აქებდა, სისკარი უარზე იყო და მამაპაპურ ძილის პირებს მოჰყოლოდა. აი ჩვენ ვრწმუნდებით, რომ რაც უნდა მოხდეს, ტაღანტი მაინც კაცს ნამდილოს თავის ხედვრს ადგილას დააყენებს. ჩვენ ურჩევთ მისისა და იენისის წიგნები წაიკითხონ ჩვენმა მეგობრებმა; ძალიან დაგვიმადლებენ. ბევრს ცნობებს მესხეთზე შეიტყობთ სამსავე სტატიიდან, რომელნიც ამ ორ ნომერში არიან დაბეჭდილები.

თბილისში ვერ ახალი ამბავი არა არისრა. მთაწმინდობას კარგი დარი იყო, მოწმინდილი ცა და მშვიდი ჰავრი. ხალხი დიდძალი შეიკრება, ჩვეულებისამებრ. მე მიყვარს მთაწმინდა, იმისი მყუდროება, სიგრილე, ცივი წყალი და

ღმერთმან ვერანანი და უდაბურნი. მაგრამ რა დღეობა? საიმისო სახალხო ამბავი არ არის, რომელშიაც მრთელი ხალხი გართულია ერთის რამითა, როგორც თურმე იმერეთში სკოდნათ და როგორც ადრე ჩვენშიაც. მაგალითად ბურთაობა, ჯირითი. იმერეთში იცინაო, შეიყრება დღეობას რამდენიმე სოფელი და გაიყოფა ორ ნაწილათ; ბურთაობას დაიწყებენ თუ არა, დიდით პატარადის სულ ერთათ იმაში არიან გართულნი. აქ, ქალაქში, ამ ჩვენ დღეობებში თავს მოიყრის ხალხი. მრთ გვერდზე ჩამწკრივდებიან დედაკაცები გასათხოვარის ქალებით თითქოს დუქან-ბაზარი გაუმართავთ საჩვენებლათ: აბა იყიდეთ საქონელიო. ძველგან ირევა კაცობა. აქა იქ მგზონგურე ქვემო ქვეყნის მომღერ-

ვიდეს! თითქმის წინათვე შეგვიძინა გიჟიკა, რომ ამ მაღაზიების საქმე კარგათ წავა რადგან თვალწინ ბევრი მაგალითები გვაქვს: მთელი შორაპნა, მთელი რუსეთი მოფენილია ამისთანა მაღაზიებით; თითქმის ყოველს პატარა სოფელში არის პურის მაღაზიები, ისე საჭიროდ მიჩნიათ ეს და თითქმის ყველგან კარგათ მიდის. ჩვენში კი რად არ უნდა წავიდეს კარგათ?—რასაკვირველია, ამნაირი საქმის კარგად წაყენას ბევრი რამ უნდა: ერთი რომ მაღაზიას პატრონანი, სინდისიანი კაცები უნდა უყურებდეს, რომ ნამუშევარი არ დაიკარგოს ტყუილ-უბრალოდ, ან არ წახდეს ცუდი სახლისგამო; მეორე ყველა საზოგადოების წევრმა თავის დროზე და სრულად უნდა შემოიტანოს თავის წილი პური, ან სიმინდი; მესამე—სესხი რიგინად გარდაიხადონ და სხვა. მართი სიტყვით, თუ საზოგადოებამ კარგად ადენა მაღაზიის შემოსავლ-გასავალს თვალ-ყური, უეჭველია, რომ ის კარგათ წავა და ბევრს სარგებლობასაც მოიტანს.

შოველი ამ ნაირი საქმის წარმატება დამოკიდებულია ერთი დებულებაზე, რომლითაც ხელმძღვანელოვნენ საზოგადო საქმის წევრნი, მეორეთ იმაზე—თუ როგორ ასრულებენ ამ დებულებას. შეიძლება დაწყობილობა კარგი იყოს, მაგრამ ამსრულებლები კი ცუდნი; მაშინ საქმე კარგათ ვერ წავა; ისეც შეიძლება, რომ ცუდი დებულება იყოს, მაგრამ კარგათ კი ასრულებდნენ იმას; უეჭველია ვერც მაშინ წავა ხერხიანათ საქმე. რასაკვირველია, ყველას ის სჯობია, რომ რომელიმე საზოგადოებას საერთო საქმეში კარგი პირობები, დებულება ჰქონდეს და ბევრითაც ასრულებდნენ იმას. მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ხშირად იმისთანა კაცები ჰკიდებენ ხელს რომელიმე კეთილს საქმეს, რომელთაც ამ საქმისა არაფერი არ ესმით და, როცა საქმე ვერ წავა კარგათ, ამბობენ, რომ ეს საქმე ჩვენში ვერ იხერხებოდა; მაშინ როდესაც მკოდნე და თავიანთ კაცს რომ მოეკიდა ამავე საქმისათვის ხელი, მაშინ ის უსათუოთ კარგათ წავიდოდა და სარგებლობასაც მოიტანდა. აგრეთვე, თუ რო-

ლები (ამუღებს ეძახიან ქალაქში) ან ათასში ერთხელ ქალაქის ბიჭი, ბრმა მგზონგურე ზის და დასძახის თავის თათრულს, სომხურ და დამახინჯებულ ქართულ სიმღერებს; აგრეთვე ჩვენი მესტირე. იქით ერთ მწკრივათ სხედან ბაყლის კინტოები და ხილსა ჰყიდან. ათასში ერთხელ თუ ჯამბაზი გაჩნდა, კარგი საქმეა.—სხვა ხალხი სულ აღის და ჩადის, ადგილ-ადგილს შედგება ხოლმე, რომ ხალხი ნახოს, ქალები დაათვარიელოს. ხალხი დიდძალი კია, რა რჯულის კაცი გინდა აქ არა ნახო: რუსი, ფრანკუზი, ნემეცი, იტალიანელი, ასე გაშინჯეთ თათრებიც კი დადიან ხოლმე. ძალიან რამ არის ადამიანის ბუნება. ადამიანს ხალხი, გროვა ხალხისა, თავის მსგავსი ადამიანისა უყვარს. სადაც კი ათიოდე კაცი შეიყრება, მაშინვე იქით მიეშურება, თითქოს ეს არის ჩემი ბედო. თავის განუზრახვლათ, შეუძმენველათ, ინსტინქტიურათ კაცი კაცს ვერ მოშორებია, არამედ დიდის ცდითა და ვაის ვაგლახით იმას მიეღვინა; ჭირია, თუ ლხინი, ბედნიერება, თუ უბედურება ადამიანს საქვეყნოთ და ქვეყანასთან უნდა, აქედამ არის ანდაზა: რაც ქვეყანას, მეც ისაო. პირველ ველურის ცხოვრებიდან დაწყობილი, ვიდრე უმალსეს განათლებულ ხარისხამდე დედამიწის ზურგზე ყველა ხალხის მიღრევილება ისე მიიმართება, რომ ყოველი თავისი პიროვანი ცხოვრება შეეერთოს მრთელ ხალხის საზოგადო ცხოვრებასთან. დამართლათ ჩვენ ვიცით, რომ ორს უკიდურეს კაცის გონების გახსნის ხარისხში, ესე იგი როდესაც ხალხი ველურს მიემსგავსება, როდესაც არა ვითარი ვერობის მოქალაქობრივ ცხოვრების კანონები არ არის და მეორე ხ-



მელიმე საქმემ ვერ იხილა ცუდი დაწყობილობის, დებულობის, გამო, მაშინაც იმას ამბობენ, რომ ეს საქმე ჩვენში ვერ გამოდგება. ამიტომაც ჩვენ ვისურვებთ, რომ ჩვენი საზოგადო პურის მალაზიების საქმეს კარგა და თავიანთ კაცებმა მოჰკიდოს ხელი და კარგი დაწყობილობა გამართონ, რომ თავიდანვე კარგათ წაიყვანონ საქმე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სხვაგანაც მათისის გუბერნიაში, ისე კარგათ წავა საქმე, როგორც უ. ავლიანის სიტყვით, შორაპნის მარაში მიდის. სასურველია რომ სხვა მომრიგებელ მოშუამდგომლებსაც მოკიდონ ამ სასარგებლო საქმეს ხელი და ამრიგათ თავის გაველენთა და ცოდნით მოეხმარონ საზოგადოების წარმატებას.—

ჩვენ მივაქცევთ იმ პირების ყურადღებას, რომლებზედაც არის დამოკიდებული საზოგადო მალაზიების დაწყება, შემდეგ საგნებზე:

1) ჩვენ გვგონია კარგი იქნება, სამალაზიო გარდასახადის დადების დროს რომ მიაქციონ ყურადღება იმას—თუ რამდენი დღით, ან ქვეყა საეარგისი მიწა აქვს იმას, ვისაც ადებენ სამალაზიო გარდასახადს და ამის დაგეგმვას გარდახდებიან მალაზიის სასარგებლოდ ნამუშავენი; ესე იგი, ვისაც ბევრი ნაყიერი მიწა აქვს, იმან მომეტებულიც გარდაიხადოს და ვისაც ნაკლები,—იმან ნაკლებიც.—მინც ბევრი შეიტანა, იმას მომეტებულიც შეუძლია გამოიტანოს საჭიროების დროს.—

2) ღარიბებს, ობოლებს და ქვრივებს, რომელთაც არ შეუძლიან წილის შეტანა მალაზიაში, საზოგადოება, შეძლებისა დაგეგმვით და შეწყვილოს და მისცეს მალაზიიდან უზღვევლად ნამუშავენი.

3) თუ რამდენიმე კაცი ერთად თხოულობს მალაზიიდან პურს, ან სიმინდს და თუ მალაზიაში ცოტა ნამუშავენი დარჩა, მაშინ კრება უნდა შესდგეს და უნდა გარდაწყვიტოს, რომელს უფრო სჭირია და იმას უნდა მისცეს შემწეობა.—

4) მგონია საზოგადოებისათვის სასარგებლო იქნება, რომ თავის წევრებს გარდა, სხვებსაც,

ესე იგი, რომელთაც არა აქვთ მალაზიაში მონაწილეობა აძლიოს მალაზიიდან ნამუშავენი; მაგრამ იმათ მომეტებული სარგებელი უნდა გადახდებიან; მაგალითად, თუ წევრი ექვს პროცენტს იხდის ასზე, იმათ შეიძლება, ან რვა გარდახდებიან.—

5) ნამუშავერის მაგიერ, თუ ვისმე სურს, უნდა ქონდეს ნება, რომ ფულად შემოიტანოს მალაზიაში. შული იმდენი კი უნდა შეიტანოს, რამდენათაც გაიყიდება იმის წილი გარდასახადი.—

6) თუ მალაზიაში იმდენი პური, ან სიმინდი, რომ საჭიროებას გარდაემატება, საზოგადოების კრების გარდაწყვეტილებით, შეიძლება გაიყიდოს ეს მომეტებული.

7) ძალიან სასარგებლო იქნება, რომ იმ ფულებიდან, რაც მალაზიაში შემოვა პატარა ბანკი დაწესდეს. ამ ბანკით ისარგებლებს ყველა, ვისაც კი აქვს მალაზიაში მონაწილეობა და სხვებიც, თუ მომეტებული ფულები იქნა, უმეტესი სარგებლით. ამისთანა ბანკის დაწესება ყოველი პურის მალაზიისთან ძალიან დიდ სარგებლობას მოუტანს სოფლის ხალხს; მაგალითად რომელიმე გლეხს დასჭირდა ფული სახელმწიფო, ან საბატონო ხარჯის გადასახდელად; ის გამოიტანს მალაზიის ბანკიდან და გარდინდის; რასაკვირველია ამ ბანკმა ცოტა სარგებელი უნდა გარდახდებოდეს. მაშინ გლეხი აღარ წავა ექვსთან, ან სხვა ვისთანმე და ერთი ორად აღარ გარდინდის სესხს.

8) თუ საქმე კარგათ მიდის, შეიძლება მალაზიისა და ბანკის შემწეობით პატარა შკოლა აცა გაიშაროს სოფელში გლეხების შეილებისათვის.

აი რამდენი სიკეთე და სარგებლობა შეუძლია მოიტანოს ასე, ერთი შეხედვით, პატარა საქმეს, თუ, როგორც ზევით ვსთქვი, ანგარიშით და თავიანთ წაუძღვა იმას კაცი.—

პოლიტიკა.

ზრანია.

პარიჟი, მაისის 30-ს (ინისის 11-ს). ტიულერიაში შერგოვდნენ სამხედრო მინისტრის.

არის. მრთი მეგობარი მყავს; ერთ წელიწადს სულ თავისი ცხოვრება სტუმრებს შეაქამა და ვალიც დაეღო. სამჯერ თუ ოთხჯერ სახლი გამოიცივალა და ბედზე სულ დიდ ხატების ახლოს მოუხდა დგომა: კუკიაში კვირა-ცხოველთან, ანჩისხატის უბანში, მთაწმინდაზე და კიდევ საღაცა, აღარ მახსოვს.—მაგრამ კვი დარღმინდი მასპინძლობაც კი იციან ბევრმა, მეტადრე მთაწმინდაზე რამდენ ადგილს საზანდრები იციან ხოლმე. მე რომ ჩამოვიდოდი, ერთ სახლში კარგი სტუმრობა იყო და კარგი საზანდარიცა მღეროდა. იმ სახლისკენ გავმელელ-გამომვლელი დგებოდა და ყურს იტკობდა. მეც, სწორეთ გითხრათ, საკრავი მიყვარს, პატარა ხანს შევედქვი და სიმამრებით ყური დაუდგი. სახლიდან ისმოდა ხარხარი, სიცილი: ჩანდა რომ აქ კარგი დარღმინდი მასპინძელი უნდა ყოფილიყო. მითხრეს, რომ ეს კაცი ადვოკატობსო. ჰო, კიდევ იმით, ვიფიქრე. მხლა ადვოკატების დღესასწაულია მეტი და არც შეეცდი; ტყვილი და მართალი არ ვიცი, და ათას თუმნობით კი ჩამოსთვალეს იმისი მონაგები ფული.

აი ადვოკატებზედაც მოგვიხდა ლაპარაკი. ღმერთო ჩემო! რამდენი ადვოკატი გაჩნდა ჩვენში ახალი კანონების ძალით ჯერ ჯერობით ადვოკატობა სუყველას შეუძლია, მანამდისინ არ შესდგება ადვოკატების წოდება ნაწილად და კანონის მცოდნე პირთაგან. მანამდისინ არ ვიცი, რამდენი ხანი გაივლის, მაგრამ ვინც კი გინდათ ადვოკატობა, ადვოკატობს ძველი სულის მწერალი, რომელიც ვაი ვაგლანით კითხულობს რუსულ წიგნსა, ადვოკატობს უსაქმო კაცი, რომელიც ადრემ დალალოდა (ესე იგი ფაქტორი), ადვოკატობს

ტრი და სხვა ჯარის უფროსები.—ჯარი მშათ დგას და ერთი რომ უბნაზს იმპერატორმა, მაშინვე გაველენ მუყაყეებთან საომრათ. იმპერატორმა შეჰყარა საიდუმლო რჩევა და მინისტრები. წინა ღამეს ბევრი ამომრჩეველების კომიტეტების წევრები დაატუსაღეს.

ისპანია.

მადრიდი, მაისის 25-ს. ძორტესების სხდომაში, პრეზიდენტმა რივერომ სთქვა, რომ როგორც სხდომის პროგრამაში გეიწერია, ძორტესები ისე უნდა გაეიდნენ მთელი კრებით პალატის კიბეზე და იმრიგათ გამოაცხადონ კონსტიტუცია; მერე უნდა შემობრუნდნენ და დაიფიციონ კონსტიტუციის დაცვაზე.

პრეზიდენტი გამოვიდა მრჩეველებით და დებუტატებით; თან გამოჰყენენ პალატის საპატიო მცველები. კიბის წინ იყო გამართული მდიდრათ მორთული ტრიბუნა. პრეზიდენტი დაჯდა შუაში კრესლოზე; მარჯვნივ დასხდნენ აღმინისტრაციის წარმომადგენლები და მარცხნივ—კონსტიტუციის კომისიისა. ღანარჩინი ადგილები დაიჭირეს დებუტატებმა. ტრიბუნის ორივე მხარე დაიჭირეს დიპლომატიური კორპუსის წევრებმა, სახელმწიფო რჩევამ, სასამართლოების წევრებმა, მეცნიერების და ლიტერატორების წარმომადგენლებმა, მხარების დებუტატებმა და მადრიდის სამოქალაქო წევრებმა; როცა ყველამ თავისი ალაგი დაიჭირა, ადგა სეკრეტარი ლევანოს-დაპერსი, წაღვა წინ და ხალხს წაუკითხა პირველი ნაწილი კონსტიტუციისა, რომელიც არის სრულებით დამტკიცებული ძორტესებისაგან. მეორე ნაწილი ძაროსლამ წაიკითხა. როცა გაათავეს კითხვა, მაშინ კორტესების პრეზიდენტმა სთქვა: „ღამწესტელი ძორტესების მაგიერათ, როგორც იმათი პრეზიდენტი, ვაცხადებ, რომ გამოცხადდა სახალხო 1869-ის კონსტიტუცია“. მაშინვე ყველგნით დაიხანეს: „გაუმაჯვოს კონსტიტუციას!“ მერე დებუტატები დაბრუნდნენ სახლბომ ზალაში და მიიღეს ვიცე.—

ოსმალეთი.

ძორტანტინეპოლი.—მრთს პოლშურს გაზეთში სწერენ, რომ ძორტანტინეპოლში მოვიდნენ შრანციდგან პოლშელები, რომლებსაც შრანციის მმართველობამ მოუსპო ფულით შემწეობაო. ოსმალეთის სამსახურში არიან პოლშელები სადიუფ-მა (ჩიკოვსკი) და ლანგებეგ—(ლანგევიჩი), რომლებიც თურმე ძალიან ჰშველიან ახალ მოსულ პოლშელებს.

იმავე გაზეთში გეაცნობებენ, რომ ვითომც ძორტანტინეპოლში მოსულან ისპანიელი იეზუიტები, რომლებიც ცდლობენ, რომ მმართველობამ იმათ მომწეებს მისცეს ნება ბონიაში და ბოლგარიაში ცხოვრებისა. ისინი ჯერ სთხოვენ ნებას 150 კაცისათვის.

ტელეგრაფები

(პეტერბურგში მიღებული 16 ივნისს).

პარიჟი. ნაპოლეონმა უთხრა ქ. ბოვეს მერს: დარწმუნებული იყავით, რომ შრანციის თავის დღეში მომეტებულად არ მოეშლება მშვიდობიანობა.—

თბილისიდან მშთაისადმი.

სხადია წავიდა ის დრო, როდესაც ჩვენში მარტო მალალ ფრანგები და მიუწითომელ საგნებზედ მწერლობა შეიწყნარებოდა. ჩვენი დროს მწერალნი მარტო იმას იკვლევდნენ, რაც ჩვენს სოფლურს ცხოვრებას შეეხება, რაც ჩვენს თვალს და სმენას იზიდავს. წარსული დრო სჯობდა, თუ ახალი, ეს თვითოეულმა თითონ იძიოს.—მე კი, ნება მიბოძეთ, რაოდენიმე შენიშვნისა სხვა და სხვა საგნებზედ, რომელთაც მე მიმიზიდეს ჩემი მოგზაურობის დროს ამ ცოტა ხანში თბილისიდან მშთაისს. მივიხედ მოვიხედე ყველგან თბილისში, ჩემს ცოტახანის იქ მყოფობაში. უწინდელი დროსი კი რა მოგახსენოთ, მომსწრე არა ვარ და რაც თავი შევიწყნავლე, ამ ცამეტს წელიწადში თბილისი ძრიელ გამოიცივალა. მადი-

რისხში, როდესაც განათლების უმაღლეს ხარისხზე დგას ხალხი, როგორც მეროპის ძალიან მცირე ნაწილშია—იქ ეს ერობის, კრების, შეყრილობის საქმე—პირველი საქმეა. ამ შეყრილობაში სწყვეტენ ყველა საზოგადოების საქმეს; რამდენ სასარგებლო საქმეებს აწარმოებენ იმდენ კაცსა!—აი ეს ბუნებითი კაცის თვისებაა, რომ ადამიანს ხალხი უყვარს, თამაში, დღეობა, ხმაურობა, ერთის სიტყვით, როგორცა ვთქვით, ერობა, ხალხობა და ჯამათობა. მაგრამ ჩვენ ვინაიდან ველურ ცხოვრებისაგან გამოვედით და ჯერ განათლების უმაღლეს ხარისხამდე არ აესულეართ, ამისაგან გამო ჯერ თამაშით ყოფნაშიაც სიფრთხილე გვინდა, იმისთვის რომ თუ ერთი ხმაურობა დაიწყეს, მაშინვე ტაციობას დაიწყებენ. იქნება არ დაგიწყებიათ, რომ ადრე და ადრე ამ ოციოდ წლის წინათ იცოდნენ ნესვისა და საზამთროს დუქნების აკლება. აი ამისთანებისა უნდა გვეფთხილებოდეს.

ამას ვფიქრობდი, მთაწმინდაში რომ ავიდიოდი. ამ ჩემ ასელის დროს იმერლის ბიჭებს გულმა ვეღარ გაუძლო და დასძახეს სიმღერა. და დაიწყო ხალხმა შეგროვება. მს ხშირათ მოხდება ხოლმე ქალაქის ქუჩებში საღამო საღამოობით; მოჰყვებიან სიმღერას თითქო მკიდამ მუშები მოდიან სოფელშიო.—ხალხმა რომ ითქრიალა მომღერლებისკენ, ხალხი აირღარივია, ამაზე რასაკვირველია რომ უწყსოება არა მომხდარიყო რა, გარეყენ მომღერლები.

მთაწმინდაბა თუ სხვა რამ დღეობა, ქალაქში ძალიან ხარჯი მოსდით ხატის ახლო მდგომარეთა; გინდა თუ არა, სტუმრები გეწევიან და უნდა დაუხვდეთ, მეტი ღონე არ

გობს ძველი გაკუთრებული ბაზაზი და ასე კამინჯე მცირე მამულიანი, ანუ უმამული ზნაური ანუ თავადი სოფლიდან ჩამოდის და ქალაქში ადვოკატობს. და როგორა გგონიათ? საქმეებს ანდობენ კიდევ; მეტადრე თუ პატარა ენაწყლიანი ლაპარაკი იციან. ჰამარულდნენ ასე, რომ ადვოკატები რომ გავყოთ სხვა და სხვა სორტებათ, რამდენიმე აორტი გამოვიდოდა. უკანასკნელ სორტს მე უწოდებდი მოწაწაწაღე იაფ ადვოკატებს, რომელიც ძალიან გამრავლებულნი არიან და ენებას დიდს აძლევენ ხალხსა. რაკი საქმე არ იციან, ისინი ურიგდებიან რამდენსამე მანეთათ, იქნება ხუთ მანეთს არცკი ააცილონ, დრევე ართმევენ და ყოველ უბრალო ქალღლის დასაწრსაც სხვას. მსენი არაფერს არა აღარ ურიგებენ, მოჩივარი მიდის მეორე კიდევ ამისთანა იფე ადვოკატთან,—მასუკან შესამესთან და ბოლოს ყველას თავს ანებებს. სხვა ადვოკატებსაც კარგი შემოსავალი აქეთა, არიან რომელიც ოც პროცენტს იღებენ და წინათვე რამდენსამე; არიან ისეთნიცა, რომ ნახევარს იღებენო. მაგრამ არა უშვს რა, ხალხი მალე იცნობს ამ ცრუბენტლებს. ჰო, კინაღამ ესეც დამეიწყება მეტეკვა, რომ ისეთი ადვოკატებიცა ყოფილან ჩვენში, რომ სასამართლოში გამოდიან და დისინ ხმა ვერ ამოუღიათ, და არიან ისეთნიც, რომ თუმცა საჭიროც არ არის ადვოკატობა ამიტომ რომ მოღავეს კარგი დოკუმენტები აქვს და წარდგენის მეტი არა ეჭირება რა,—მინც საჭიროთა რაცხვენ ადვოკატები, რომ საქმე ვითამც დაიცვან და ნახვიარ საათს აბეთათ ხო არ იქნება, ამ შრომისათვის ფულია

საჭირო. და კარგს ფულებსაც შოულობენ ჩვენი ადვოკატები ღმერთმა უშველოსთ. ბევრი კაცი გაკეთდა.

წასულ კვირას ქალაქში ჩამოახრჩვეს ერთი იმ კაცის მკვლელობაგანი, რომელთაც მოჰკლეს ამ ზამთარს ერთი ხმაზი, მიკიტის ბიჭი და რომლისაგამოც ბევრი შიშინაობა სჯამა ჩვენმა მრავალ ხალხოვანმა ტფილისმა. სახარობელია იყო ავლაბრის სომხის სასაფლაოს იქითა და დიდძალი ხალხი იყო შეკრებილი. ამბობენ დამნაშავენი სულ ოთხნი იყვნენ: ერთი ჩამოახრჩვეს და სხვანი კი ციშირში გადაჰკარგეს. ამათ გარდა, სხვანიც იყვნენ თუ არა არ ვიცი, ან ეჭვი არის, რომ უნდა ყოფილიყვნენ თუ არა, არც ეს ვიცი. მე ამ თამაშიზე სწორეთ გითხრათ არა ვყოფილვარ. ამბობენ ჩამოახრჩობის დროს თოკი გაწყვეტილა და ხელმეორეთ აუწყვიათ დასახრჩობი.

აი დაიწყეთ მხიარულათ და მწუხარებით ვათავებთ, ეს ცუდათ არ ჩამომართეთ. ამ ქვეყნიერობის საქმე ასეა, სინარულით დაიწყობ, მწუხარება შემოერევა; მწუხარებით დაიწყობ, სინარული შემოერევა. შორს რაღას მივდივართ, აი ღხინში: სადღეგრძელობით დაიწყობენ და ბოლოს შესანდობელით ვათავებენ, ღხინისა და ქეიფის დროსაც მკედრები აგონდება კაცსა. აქ კი ცოცხალმა ადამიანმა იქამდინ მიახწია, რომ ქვეყნიერობას უნდა გამოესალმოს.

ანჩისხატის-უბნელი.

დღა, შენობებით, ქუჩებით გალამაზდა, თითქმის ჩუღურეთიც შეიცვალა; სიონის არე მარე ადგილებს ხომ ძველი ქალაქის სახე ძლიერს აჩნია. ხალხი გამრავლდა, გასუფთავდა, განვითარდა. ნახეთ, რა ფერის, რა სახის ხალხი გამოიფინება ხოლმე უქმე დღეებში და უფისობაზე გალაღინის პროსპექტზედ. თამამ-შოვის ახლო მახლო ადგილებში, ალექსანდრეს ბაღში, მუშტაილში, საბოტანიკო ბაღში, ხუთ შაბათობით-მთაწმინდაში, დავიდის ქუჩაზედ და სხვაგან და სხვაგან. მართს სიტყვით მერობა აქ არის. მართველები ვინც განათლებით და ვინც არა მიბაძვით, კახტობით და სიამპარტენით სწყინობენ ხოლმე, ვინც გავანდირდება და იმათ აზივლებათ და ქართველებათ უწოდს. ბევრისაგან გაიგონებთ, რომ იმან ქართული მარტო „ფურც“ და „ცკალია“ იცის, სხვა სულ დაიფრუდა მტრის მტე განვითარებული მერობის ენების ცოდნით. დიდი ამაზივია, დიდი; ასე რომ ამ ასის წლის წინეთ ვერცარაინ კი მოიფიქრებდა ამეგებს. სხვა ენა უნდა და სხვა კალამი ამ ხალხის ცხოვრების გამოხატვას.

რასაკვირველია, არ შეიძლება, რომ ავიზნიანებიც არ იზოვებოდნენ ამოდენა თვალგაღუწველ ქალაქში, მაგრამ რა უყო; ქართული ანდაზა ამბობს: „მთა და ბარი არავის გაუსწორებიაო“; რუსული ანდაზა კიდევ ასე გეუწყებს: „ისეთი ბორბტება არსად არის, რომ ცოტა რამ კეთილიც არ მოქონდეს თანაო“. სწორათ ასე: იხდება ჩვენი მბილისი, დულს სიცოცხლე; ღამის, სიბნელე შერეკს ხალხს შინა დასაძინებლათ და დღის სინათლე გამოფენს გარე სიცოცხლის ასპარეზზედ სათამაშებლათ და ვინ როგორ თამაშობს, ეს მარტო გულში უნდა ვიცოდეთ.

სამშაბათს დილით შეიდ-საათზედ ჩავედი მთაწმინდიდან ჩემ უცნობ მეგობართან სამეზობის ქუჩაში. მუცილებელი და ჩქარი მგზავრობის საქარობამ მუთისში შეგვყარა ერთათ მე და ის, თორემ დღესაც არ ვიცოვინ იყო ისა, ვგრეთვე არც იმას შეუტყვია ჩემი ვინაობა. უცნობ მეგობარს ჯერ ისევე ეძინა და ამისთვის იმის გავიძებამდე ალექსანდრეს ბაღში ჩავიარე. მისის დილა, ფრინველთ კიკიკი, მცენარეთაგან საუნოსველის ტბობა, მორთული, დაწყებული ხალხის სეირნი, მშვენიერება იყო. — ჩემი ბებერო, მქვთიმევე, ეხლა მაინც დაინახოს შენმა ბედნიერმა თვალმა, რომ მერობის განათლებას მართლა ბევრი შესძლებია და თვალ გაუცად სიმორცხვედ დაუგდია ჩვენი ძველი დროს მშვენება. აბა უყურე ჩვენი ტუტიაები, როცა ჩამოუვლიან თაფიანთი ილიას ეტლის მგზავსის ურმებით ამ ბაღს გვერდით, როგორ გაშტრდებიან და პირჯერს იწერენ: „აი დიდება შენდა, ღმერთო! მაგონებით მარტო ზღაპარში გამოგონია და თვალთ კი ეხლა ეხედავ ასე საჩქაროთ ბაღის ამენებას; ამ წინა წელიწადებში აქ სულ კლდეები და ცარიელი ადგილები იყო, ამ ქვემოთს შაბახს ეეძახოდით.“ ბაღიდან ჩქარა დავბრუნდი, მეგობარსაც გავდივინა. შეველა საქმე კარგათ წარგვემართა, მხოლოდ სტანციოში ცხენების მოცემანზედ რაღასაც იფხორებოდნენ. მართალი ანდაზა: „ყველა...თავისს კარზედ დიდგულათ არისო“; მაგრამ დიდგულობა აქ რა საქაროა, თუ ყველას თავისი მოვალეობა კარგათ გვესმის. მინემ ყველა თავის ვალდებულობას, რაც უნდა მცირე იყოს, წმინდათ არ აღასრულებს, კაცობრიობის ცხოვრების ჩარხი კარგათ არ იმუშავებს.

ზუსტა რომ გამოუდგეთ, მეგობარმა კახური ღვინის სარდაფში, სამოდვე თუნგი ღვინო იყიდა ტიკტარით, თუნგში ოთხი მანეთი მიეცა. ტიკტარას მეგობარმა ყმაწვილი დარქვა და კალთაში ჩაიღო, მუთისამდი სულ კალთით უტარებია; ეტყობოდა, რომ იმას ყმაწვილზედ ძრიელ ღვინო ეყვარება. ძახურო

ღვინო! შენ მაინც გვასახლე. — მერის ბაღები მეგობარს მოეწონა და ამბობდა: „ოჰ რა კარგათ არის ამწვენებელი! ახირებულათ იზიდავდა იმას ჩვენი ქვეყნის ბუნების სიკეთე და სიუხვე. ხალხის და იმათი ცხოვრების ქება კი იმის ენას არ უწამებია, ნაკლულევენებას უთვალავს ამბობდა. მართლს ურმებს და ჩვენ სოფლებებს მალიმალ აკვირებდა თვალს და შემდეგ მე მითხრა: — თქვენი ხალხი ისე იმ მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშია პირველი კაცი ადამი იყოფო. რა მეთქვა სხვა, მე უპასუხე: — ვეღარ საკვირველია; ეს ამოდენა ხანია ქართველები არსებობენ და რა არის მიზეზი, რომ თაფიანთი ცხოვრების გაუმჯობესობა ცოტათი მაინც წინ ვერ წამოუწყვეათ; ესთქვათ, რომ კუნძულზედ სადმე სცხოვრობდნენ, სხვა ხალხთან ერთობა არსათი ჰქონდეთ და ცხოვრების გაუმჯობესობის საქარობას არა გრძობდნენ, კიდევ ჰო; მაგრამ იმ ერთს კაცს, რომ უთქვამს: „წისქვილი კი არ დატრიალებულა ჩემს თავზედ და სხვა ყველაფერი გადამხედა“; საქართველოს საქმეც ასეა: რა არ უნახავს, რა არ უტღია.

საბურთალოდან მეგობარმა მბილისს გახედა და უქმყოფილობის სახით სთქვა: — აზიის ქალაქიაო, მარტო ერთი გოლოვინის პროსპექტი სუფთა ქუჩააო; მადლობა ღმერთს — ჩქარა თავი დავახვიე, სიცოცხლე გამიმწარა ერთი თვის ექ მყოფობაშია, ეს არის ამის მტრათ ველარც ენახავო; არა ფერი კმაყოფილება არ არის, არა იზოვებარაო, კარგი ღორის ქონი მინდოდა და ისიც ვერ ვიშოვეო. მბილისელი ქალებიც დამიწუნა. მე სახტათ დარჩი და მარტო ესლა ესთქვი: — თითქოს ზოგნი ძრიელ აქებენ; უთუოთ მერობის ქალები ძრიელ კარგები რამ უნდა იყენენ. მართი მეც კიდევ გადავღვე შორიდგან მბილისს თვალს; წარმოვიდგინე ყოველი იმისი წარსული და აწინდელი დრო, და ჩემმა გულმა დლოცვის მტე ეეღარა გამოსთქვარა. მეგობარმა შეათვალეფრა დლოცვი, ავეკლა; ამახსენენა იქ მცხოვრებლების ყოფა — ცხოვრება, ძახეთის მხარეც ვანიშნე — ღვინის დედა — და ბოლოს მითხრა: „აბა დახედე ეს ამოდენა მბილისის არემარე ადგილები სულ გამოსადეგი, დაუფასებელი, რა უშენებლათ და შეუმუშავებლათ გდიაო; მბილისში, რატო მომეტებული სიძვირე არ უნდა იყოს; რაში სხანს აქ მცხოვრებთ სიმხნე, ცხოვრების ნიჭი, . . . რა მეთქვოდა — აქ უმეტესი ნაწილი მარტო ერთი მეორის შურობაში, მტრობაში, ატარებენ დროს; რაკი ჩვენმა ქალებმა ხაბარდები ჩაიცივეს და ვაჟებმა ღიკის ფერხატკები გაიკეთეს, ფრანციშული შლაპა დაიხურეს, ქვეყანას ასე გონია საქმე გაკეთდოა.

ნაკლებბაქვეს, რომ მივატანეთ, მეგობარის ყურადღება მტკვარში ტივებმა მიიზიდეს და მითხრა: „თქვენი გემები და წყლის ხელოვნობა ეს იქნებაო; მართლათაც მეტრევე ისე დოინჯ შემოყრილი იდგა მართაყვირთან და ამაყათ იტკირებოდა, რომ გვეგონებოდა ერთი კარგი მგზომალდე ვინმეაო. რაქნას, რაც უსწავლებიათ ის იცის. მინ იცის კაცობრიობა რა მდგომარეობაში დარჩებოდა, თუ რომ პრომეტის ზეციდან ცეცხლი არ მოეპარნა და კაცისათვის არ გადაეცა. ბაივლის კიდევ წელიწადები და იქნება ჩვენი გლეხკაცი — უმეტარნი ბუნების შეიღნი, ისევე მარტო თაფიანთ მტეივობით დაიკვირებენ, თუ შრომა და მეცადინეობა არ იხმარეს.

რალაც გამოუთქმელი სეველა გადამეფრა გულზედ, ნაღველი მისივდებოდა, ესეც სხვა უბედურობა: ყველა გვარი მელანხოლია მე მეტანება. მარათე განუმებულებმა; არ ვიცი მეგობარი რაზედ ფიქრობდა და მეც, რომ გავრთობილიყავ ნაკლებბაქვეის არემარეს ვა-თვალეიერებდი; მართლათაც გული მოვიბრუნე, ცოტა არ იყო მეფონა. მომეცა ლაპარაკის

ხალისი, მეგობარიც ფიქრებიდგან გამოფხიზლდა, მოუყევე: — მეგობარო, აბა მიხედვე ამ ცარიელ არე მარეში; ავერ მარტო ერთი ძველი რალაც კოშკია, და იქ მოჩანს მცხეთა, ჰაჭვის საყდარი, სხვა ქართველის მონაქმედარი არა მოიძევენბარა! — მაგრამ ამ ადგილებს კრძალით და მოწიწებით განელი; გული მეუბნება გადმოვხტე, ამ ადგილებს თაყვანი ვსეც და დედა-მიწას ვაკოცო. ჩემი წარსრული აქ არის დამარხული, ამ მოაზრედ და შენეზულა პირველათ მართლოსი და აქედან დაფრენილან ჩვენი პატარა ქვეყნის ოთხსაე კუცხეს მართლოსის შეიღები.

(მაგრებლება იქნება).

ქალების შესახებ აზრები.

პარიზში გამოდის ქალების ჟურნალი „Les droits des femmes“. რომელშიც საუკეთესო ფრანცუზების ლიტერატორებმა მიიღეს მონაწილეობა. — მამოჩენილმა მწერალმა-ქალმა პნდრე-ლემ შეადგინა არეული (ქალები-სა და კაცებისა, როგორც-შვეიცარიაშია) ასსოციაცია. ამას გარდა ეხლა დგება იქ დიდი „ასოციაცია ქალის შრომისა“, რომელსაც ჰქვია სახელად „მუშა-ქალი (Ouvrière)“; ამ ასსოციაციის მიზანი ის არის, რომ გააუმჯობესოს მუშა-ქალების მატერიალური მდგომარეობა.

აი რა სახსრებით უნდა ამ საზოგადოებას მიაწიოს თავის მიზანს: 1) უნდა გამართოს სახელოსნო მუშაკები მუშა-ქალების ქალიშვილებისათვის, 2) უნდა გახსნას იმისთანა სამუშაო სახლები (мастерская), სადაც თვითონ მუშა-ქალები მართვენ საქმეს და მოგებაც იმათ რჩებათ და ბოლოს 3) უნდა გახსნან მალაზიები, სადაც ასსოციაციის მუშა-ქალების ნახელოვნებს გაჰყიდიან. — შულებების მოგროვებისათვის ასსოციაცია გამოუშვებს აქციებს; თითო აქცია ეღირება 50 ფრანკათ (15 მან.); იმათი ყიდვა ძალიან გაადვილებულია, რადგან ერთად შეტანის მაგერად შეიძლება წელიწადში 1 მან. ნახევარობით შეიტანოს, ვისაც შეძლება არა აქვს, სანამ 15 მან. არ შესრულდება.

შენევაში სდგება „ხალხთა-შორისი ასსოციაცია ქალებისა“, რომელსაც მიზნად აქვს შეძლებისა დაგვარად მოცმაროს ქალს საზოგადოთ განათლების მიღებაში და სოციალურ მდგომარეობის გაუმჯობესობაში. — სახსრები, რომლითაც უნდა ასსოციაციას მიაწიოს თავის მიზნებს, არიან შემდეგნი: პუბლიკური ლექციები, წიგნები, ჟურნალები და სხვა მხრივი მეცადინეობა.

დიდი ხანია არ არის რაც გამოდის შენევაში (შვეიცარიაში) ახალი ფრანცუზული ჟურნალი ქალებისათვის — სახელად „Journal des Femmes“; ჟურნალის რედაქტორი არის ქალი-მარამ მეგობ, გამომცემელი კი — პარიზის ქალების საზოგადოება. როგორც პაროგრაშიდან სხანს ამ ჟურნალის რედაქციის მიზანი ის არის, რომ გაავრცელოს ქალებში მეცნიერებითი განათლება და გააუმჯობესოს მათი სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკური მდგომარეობა; ამას გარდა ჟურნალი ეცდება, რომ ქალებსაც მიენიჭოს ზოგიერთი უფლებები, რომლის შეწყობით იმათ ექმნებათ გავლენა კაცობრიობაზე. — შრანციდან ლუი ბლანმა, შულ სიმონმა, ლუი შაგრმა, მარსესტ ლეგუემე, შმილ შე-შიარდენმა, შორნმა და ბევრმა სხვა ჩი-

ნებულმა სწავლულებმა გამოუცხადეს თავიანთი თანაგრძობა ამ გონიერული და მონივრე ქალების კეთილს წადილსა. ამ ნაირი თანაგრძობა გამოუცხადეს იმათ წინეთ ანგლიდან შონ სტუარტ მილმა, შლად-სტონმა, ბრაიტმა და შაუსეტმა.

ამ ნაირივე ქალების ჟურნალი, როგორც შენევაში გამოდის და რომელიც ამის ზევით იყო მოხსენებული, გამოდის აგრეთვე ნიუ-იორკში (ამერიკაში) — სახელად „The Revolution“. — იტალიაში შარშან იანგრიდან გამოდის ქალების შესახებ ჟურნალი, სახელად „La donna“, რომლის რედაქტორად არის ქალი — შალბერტო ბეკკარი. მითქმის კორტუგალიაშიაც გამოდის დიდი ხანი არ არის ფურცელი, რომელსაც ესევე დანიშნულება აქვს და რომელსაც ჰქვია სახელად „A voz feminina“; ამ ფურცლის რედაქტორათ ქალი შრანციკა დ'ბსისი არის.

ჩინოვნი — დედაკაცები ამერიკის შამბოზუს შტატებში.

მას აქეთ, რაც პრეზიდენტმა დაიწყო ქალების მიღება სახელმწიფო სამსახურში, ისინიც ისე გულსმოდგინედ დაემებენ სამსახურს, როგორც კაცები. ნიუ-იორკის დამოქნაში არის დაწესებული ოთხი ადგილი ქალებისათვის 1,200 მან. ჯამაგირით; ამ დედაკაცების თანამდებობა იმაში მდგომარეობს, რომ იმათ უნდა განხრიკონ სამზღვარს გარეთიდან შემომსვლელი დედაკაცები, რომ კონტრაბანდა არ შემოაპარონ. მთუმცა ეს თანამდებობა მაგდენათ სახარბილო და პატივსაცემი არ არის, მაგრამ მაინც 700-ზე მეტი დედაკაცის ცდილობს იმის მოვნას.

საბილიტოზო ნაწილი.

„ღროებაში“ იყო გამოცხადებული, რომ პიტერბურლი იბეჭდებო უ. ი. შავქავაძის მოთხრობა — „საცია — ადამიანი“; პეტერბურლიდან გვერდენ, რომ მისის ბოლოს ძაქვაზისაკენ გამოიგზავნებო, მაგრამ ჯერ არსად სხანს. აი რას სწერენ ამ მოთხრობაზე გავითში „Голос“: „მს მოთხრობა პირველად დაბეჭდილი იყო 1863 წ. „საქართველოს მოამბეში“, რომელსაც სცემდა მოთხრობის ავტორი და ძალიან მოეწონათ ქართველ მკითხველებს. იმაში აწერილია სატირიკულად (დაცინით), მაგრა იშვიათის სიმართლით, ძველი ქართველი მებატონეების ცხოვრება. მთუმც ზოგი სცენები სინამდვილეს არ ეთანხმება, მაგრამ საზოგადოთ ეს მოთხრობა იშვიათი მოვლინება ქართულ ლიტერატურაში. ი. შავქავაძეს, როგორც პოეტსა და მწერალს, უჭირავს პირველი ალბათ ახალ ქართულ ლიტერატურაში; იმიდან იწყება ახალი ეპოქა ლიტერატურისა; იმან პირველმა შემოიტანა პოეზიაში, თუ შეიძლება ასე ესთქვათ, მოქალაქობის ელემენტი. შავქავაძემდე ქართული პოეზია მარტო „მისის ვარდებს“ და „მთვარიან ღამეებს“ შემოვლოდა. — მთუმც ჩვენ ძალიან ვაფასებთ უ. ი. შავქავაძის მნიშვნელობას ქართულს ლიტერატურაში, მაგრამ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ უკანასკნელს „Голос“-ის სიტყვებს: არ შეგვიძლია არ მიუთითოთ აქ უ. ი. შარათაშვილზე, ბ. შირსთაშვილზე და სხვა, რომლებიც მარტო „მისის ვარდსა“ და „მთვარიან ღამეს“ არ დამღეროდნენ.

იბეჭდება და იენისის დასასრულს გამოე ქართული

ანბანი

და პირველი საკითხავი წიგნი უ. ი. შავქავაძის.

(მეოთხე გამოცემა)

სამპრიმალის კარტა მართულ ენაზედ, სქელ და თეთრ ქალაღზედ დაბეჭდილი, ისყიდება მელიქიშვილის და კ. სტამბაში და სასულიერო სემინარიაში. შასი 30 კაპეკი.